ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული
თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის

თინათინ ნიბლოშვილის

ანგარიში

2022-2023 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ჩემ მიერ, 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს (შემდგომში - საკრებულო) პროპორციული წესით არჩეული წევრის უფლებამოსილების ფარგლებში, გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ვიკავებდი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას და ამავდროულად გახლდით:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
- საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი;
- საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი;
- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრი.

კანონმდებლობით განსაზღვრული, საკრებულოს წევრის კომპეტენციის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ჩართული ვიყავი დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში, თბილისის მერიასა და სხვა ადგილობრივ/სახელმწიფო უწყებებში გამართულ სამუშაო პროცესებში - სხდომებისა და სხვადასხვა შეხვედრის მიმდინარეობაში, მათ შორის ონლაინ პლატფორმების საშუალებით.

საანგარიშო პერიოდში შევხვდი და მოვუსმინე მოქალაქეებს, რომელთაც, როგორც საკრებულოს წევრს, მომმართეს რიგ საკითხებთან დაკავშირებით. მათ შორის, აღსანიშნავია: სოციალური, ჯანდაცვის, დასაქმების, ურბანული და ინფრასტრუქტურული, კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხები და სხვა. მოქალაქეებისთვის კოორდინირებული კონსულტაციის გაწევის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, მჭიდროდ ვთანამშრომლობდი სხვადასხვა ინსტიტუციებთან.

კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, შესაბამისი რეაგირება მოვახდინე კორესპონდენციაზე - სახელმწიფო ინსტიტუტებიდან, საჯარო თუ კერძო უწყებებიდან შემოსულ წერილებზე/განცხადებებზე.

დედაქალაქის აღმასრულებელ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, საანგარიშო პერიოდში თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხების დადებითად გადაწყვეტას/დამტკიცებას, რომელთა ფარგლებში, საკრებულომ 115 დადგენილება და 663 განკარგულება მიიღო. მუნიციპალური საკითხების განსახილველად საანგარიშო პერიოდში დავესწარი ბიუროს 17 და საკრებულოს 14 სხდომას.

ქალაქის მასშტაბით კულტურის სფეროსა და თეატრალური პროექტების დაფინანსების, არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციების განთავსების, საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების, ასევე სხვადასხვა საკონკურსო განაცხადის განხილვის მიზნით, წლის განმავლობაში ჩართული ვიყავი დედაქალაქის მერიის შესაბამისი კომისიებისა და საბჭოს სამუშაო პროცესებში, რომელთა წევრიც ვარ:

- თეატრალური პროექტების განმხილველი კომისია;
- კულტურის სფეროს პროექტების განმხილველი კომისია;

- პროგრამის - „ შემოქმედებითი თბილისი“ - ფარგლებში წარდგენილი საკონკურსო განაცხადების განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო.
- ა(ა)იპ „საჯარო ხელოვნების ფონდის“ მიერ საკონკურსო განაცხადების განმხილველი კომისია.

საანგარიშო პერიოდში გავმართე არაერთი შეხვედრა/მიღება და კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობა. ჩართული ვიყავი საკრებულოს აპარატის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა, შემეცნებით, კულტურულ თუ სოციალურ აქტივობაში/პროექტში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გენდერულ საკითხებზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო. მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, 2016 წელს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №26-80 დადგენილებით შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო (შემდგომში-საბჭო), დამტკიცდა საბჭოს დებულება, განისაზღვრა საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი.

საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს: საქართველოს კონსტიტუციით; საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; საქართველოს კანონით „გენდერული თანასწორობის შესახებ“; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით; „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №26-80 დადგენილებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

საბჭოს დებულების თანახმად, მისი ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

- საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა;
- გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის ცალკეული ღონისძიებების შემუშავება და დაგეგმვა;

- გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, ასევე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზის განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება;
- წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ან/და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთვის წარსადგენად და სხვა;

ადგილობრივ დონეზე გენდერულ პოლიტიკას საბჭო წარმართავს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის №22-7 დადგენილებისა **(შემდგომში-გენდერული სტრატეგია)** და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის № 97 განკარგულების **(შემდგომში-სამოქმედო გეგმა)** შესაბამისად.

გენდერული სტრატეგია განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერულ პოლიტიკას, მის მიზნებს, ამოცანებსა და პრინციპებს. დოკუმენტში წარმოდგენილია სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები, სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები და მონიტორინგის ღონისძიებები. გენდერული სტრატეგია წარმოადგენს სამოქმედო გეგმის შემუშავების საფუძველს.

სამოქმედო გეგმა ემსახურება გენდერული სტრატეგიის შესრულებას და ითვალისწინებს დოკუმენტში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებას.

საბჭო, სამოქმედო გეგმის საფუძველზე უზრუნველყოფს: გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ღონისძიებების/პროექტების შემუშავებას საფინანსო-ეკონომიკურ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, აგრეთვე კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებში; გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სამთავრობო, არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობას; ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას; ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით საინფორმაციო კამპანიის წარმართვას; ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი ინიციატივების შემუშავებასა და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის მხარდამჭერი საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელებას; სქესის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციასა და აღმოფხვრას; გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და სხვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოში, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 28 იანვრის №ბ03.03220281

ბრძანებით, დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელსაც ზემოხსენებული თარიღიდან დღემდე ვხელმძღვანელობ. აღნიშნულ ბრძანებაში შესული ბოლო ცვლილების მიხედვით, ("ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 28 იანვრის №ბ03.03220281 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 27 ივლისის № ბ03.03232081 ბრძანება) საბჭო 27 წევრითაა წარმოდგენილი - 21 ქალი და 6 კაცი.

2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გენდერული თანასწორობის საბჭოს 2 სხდომა, 4 სამუშაო შეხვედრა და სხვა არაერთი აქტივობა გავმართეთ. სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 6 საკითხი განვიხილეთ. საანგარიშო პერიოდში გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია აქტიურად ქვეყნდებოდა თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდსა - http://tbsakrebulo.gov.ge/index.php?m=604 და საბჭოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე - https://www.facebook.com/profile.php?id=100077935759606.

2023 წელი საბჭოსთვის მნიშვნელოვანი სიახლეებით დაიწყო. თბილისის საკრებულოს ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს პირველად გამოიყო დაფინანსება საბჭოს ფუნქციების განხორციელებისა და დაგეგმილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად. დამტკიცდა მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის დოკუმენტი, აგრეთვე - გენდერული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, რომელიც 2023-2025 წლების საშუალოვადიან პერიოდზე გაიწერა.

სამოქმედო გეგმაში ხუთი ძირითადი მიზანი განისაზღვრა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გაძლიერება;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებისა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
4. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული, მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად.

დედაქალაქის გენდერული სტრატეგიის მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების აღსრულების, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვისა და მზადების მიზნით, საანგარიშო პერიოდში მჭიდროდ ვითანამშრომლე ადგილობრივ, სახელმწიფო და კერძო უწყებებთან.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №26-80

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმდინარე წლის დასაწყისში, საკრებულოს სხდომაზე, წარვადგინე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის 2022-2023 წლების ანგარიში. საზოგადოებას მივაწოდეთ ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის - საბჭოს სხდომების, სამუშაო და ოფიციალური შეხვედრების, საბჭოს ეგიდით განხორციელებული და მიმდინარე კამპანიების შესახებ და სხვა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომები და საბჭოს სამუშაო შეხვედრები

16 ნოემბერი, 2022 წელი

საბჭოს სხდომა № 8

დღის წესრიგი:

1. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის დაგეგმვა.

სხდომაზე ვიმსჯელეთ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩასატარებელ ღონისძიებებზე და კამპანიის საწყის აქტივობად თბილისის სატელევიზიო ანძის, სიმბოლურად, ნარინჯისფრად განათება განვსაზღვრეთ. კამპანიის ფარგლებში ნარინჯისფერი სამაჯურების გამოყენებაზე შევთანხმდით, რამდენადაც ნარინჯისფერი აღნიშნული კამპანიის ოფიციალურ ფერს აღნიშნავს. მასობრივი გავრცელებისთვის, საინფორმაციო ბროშურების დამზადება დაიგეგმა, რომელზეც დატანილი იქნება ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო სერვისების: კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების მომსახურებებისა და ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზის შესახებ. ვიმსჯელეთ კამპანიის სლოგანზე და განვიხილეთ მოსაზრება, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მოწოდების შინაარსით 16 სხვადასხვა პროფესიის

ცნობადი ადამიანის ვიდეომიმართვების ჩაწერაზე, შემდგომ მათ სოციალურ ქსელში, მათ შორის ქალთა ჯგუფებში გაზიარებასა და აღნიშნული კამპანიისათვის გამოწვევის ხასიათის მიცემაზე.

სხდომაზე გამოითქვა ინიციატივა, თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში ვიზიტსა და აღნიშნული დაწესებულების მომსახურების მიმღებ პირებთან შეხვედრაზე. მუნიციპალურ თეატრებში დაიგეგმა ძალადობის საკითხებზე სახელმწიფო სერვისებისა და საკონსულტაციო ცხელი ხაზის შესახებ ინფორმაციის გამოცხადება სპექტაკლების დაწყებამდე და დასრულების შემდგომ.

17 ნოემბერი, 2022 წელი

საბჭოს სამუშაო შეხვედრა

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის განხილვა სხვადასხვა უწყების ჩართულობით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად დედაქალაქის საკრებულოში ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა საბჭოს წევრებს, სახელმწიფო და კერძო უწყებების წარმომადგენლებსა და დედაქალაქის რაიონულ გამგეობებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს შორის. შეხვედრას ესწრებოდა თბილისის მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საბჭოს წევრი ნინო ბურძენიძე. შეხვედრაზე სამოქმედო გეგმის პროექტი მიმოვიხილეთ. მოწვეულმა სტუმრებმა დოკუმენტთან დაკავშირებით საკუთარი ხედვები გაგვაცნეს. სახელმწიფო და კერძო უწყებების წარმომადგენლების მხრიდან სამოქმედო გეგმის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნებისა და რეკომენდაციების წერილობითი ფორმით წარმოდგენა დაიგეგმა. შეხვედრას ესწრებოდნენ: თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის უფროსი ინდირა რობაქიძე, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი ანა მარგიანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელი სოფიო ჩოხელი, სახალხო დამცველის აპარატის გენდერის

დეპარტამენტის წარმომადგენელი ანა ლობჟანიძე, ქალთა ფონდ „სოხუმის“ წარმომადგენელი ლიდა ჩიხლაძე.

9 თებერვალი, 2023 წელი

საბჭოს სამუშაო შეხვედრა

დღის წესრიგი

1. მიმდინარე საკითხებისა და დაგეგმილი ღონისძიებების მიმოხილვა.

სამუშაო შეხვედრაზე განვიხილეთ საბჭოს მიმდინარე საკითხები და თებერვალში დაგეგმილი აქტივობები - მათ შორის, მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის, ქართველი მეცნიერი ქალებისა და გოგონების მადლობის სიგელებით დაჯილდოება. საბჭოს მიერ დაწყებული კამპანიის “არა ქალზე ძალადობას“ ფარგლებში კი თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წევრებსა და სხვადასხვა თემის წარმომადგენლებთან მორიგი, გაფართოებული შეხვედრა ჩაინიშნა. საბჭოს წევრებს ინფორმაცია მიეწოდათ გენდერულ საკითხებზე საბჭოს ფუნქციების განხორციელებისა და დაგეგმილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად მუნიციპალური ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს გამოყოფილი დაფინანსების შესახებ. სხდომაზე ცნობილი გახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის უახლოეს დღეებში, საკრებულოს სხდომაზე დამტკიცების შესახებ.

10 აპრილი, 2023 წელი

საბჭოს სამუშაო შეხვედრა

დღის წესრიგი

1. მიმდინარე საკითხებისა და დაგეგმილი ღონისძიებების მიმოხილვა.

სამუშაო შეხვედრაზე განვიხილეთ გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების საკითხი. შეხვედრის მონაწილეებს ეცნობათ აგრეთვე საბჭოსა და სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის მიერ დაგეგმილი ერთობლივი აქტივობის შესახებ - ქალთა №5 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულებისათვის მათი ინტერესების გათვალისწინებით შერჩეული წიგნების გადაცემის თაობაზე. დაიგეგმა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. მათ შორის, ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო სერვისების - კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების მომსახურებების შესახებ სხვადასხვა ენაზე შედგენილი საინფორმაციო ბროშურების დაბეჭდვა.

15 მაისი, 2023 წელი

საბჭოს სხდომა № 9

დღის წესრიგი

1. მაისის თვეში დაგეგმილი ღონისძიებებისა და მიმდინარე საკითხების მიმოხილვა.

სხდომაზე განვიხილეთ ქართველი ქალი პოეტის, ანა კალანდაძის შემოქმედებითი საღამოს - „ანა პოეზიის დედოფალი“ გამართვის საკითხი. დაიგეგმა ქალთა №5 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულებთან ფსიქოლოგისა და ა(ა)იპ ქოუჩინგის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის, ხათუნა მუზაშვილის სამოტივაციო შეხვედრა და შემდგომში მის მიერ მსჯავრდებულებისათვის ქოუჩინგის

კურსის შეთავაზება. შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ამ მხრივ არსებული ბარიერების გადალახვის ხელშეწყობის მიზნით, ვიმსჯელეთ შშმ პირების მშობლებთან ფსიქოლოგ ხათუნა მუზაშვილის შეხვედრების დაგეგმვაზე. სხდომის მონაწილეებს ეცნობათ თბილისის საკრებულოში დაგეგმილი, ორგანიზაცია ,,მერსი ქორფს საქართველოს“ კვლევის - „ქალთა მიმართ ძალადობის და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხები სამხრეთ კავკასიაში'' პრეზენტაციისა და გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე პანელური დისკუსიის გამართვის შესახებ. სხდომის მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდათ ასევე პროექტ „ქალი ომბუდსმენის“ შესახებ, რომელიც გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ,,მერსი ქორფს საქართველოს'' მიერ, მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივად იგეგმება და დამუშავების პროცესშია. ქალი ომბუდსმენი ძალადობასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე მოემსახურება ქალ მოქალაქეებს თბილისის ათსავე რაიონულ გამგეობაში. პროექტი, განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევების მართვას, ძალადობის პრევენციასა და მის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

22 ივნისი, 2023 წელი

საბჭოს სამუშაო შეხვედრა

დღის წესრიგი

1. მიმდინარე საკითხებისა და დაგეგმილი ღონისძიებების მიმოხილვა.

სამუშაო შეხვედრაზე საბჭოს მიმდინარე საკითხები და სამომავლო გეგმები განვიხილეთ. შეხვედრის მონაწილეებს ეცნობათ ქალთა №5 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულისათვის 10 დღიანი სასწავლო-გამაჯანსაღებელი კურსის მიმდინარეობის შესახებ, რომელსაც ფსიქოლოგი და ა(ა)იპ ქოუჩინგის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, სასწავლო-გამაჯანსაღებელი სისტემის ტრენერი ხათუნა მუზაშვილი ხელმძღვანელობს. აღნიშნული აქტივობა პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ქალი მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით, გენდერული თანასწორობის საბჭოსა და სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმა და ხორციელდება. შეხვედრაზე ვისაუბრეთ საბჭოს მიერ გასულ წელს დაწყებული კამპანიის “შენი სიცოცხლე შენს ხელშია“ გააქტიურებაზე, ყურადღება გამახვილდა

დაავადებათა სკრინინგის პროგრამის (უფასო სამედიცინო გამოკვლევები) შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობ ღონისძიებებზე: სხვადასხვა უწყებებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება, მაჟორიტარების ჩართულობით საინფორმაციო ბროშურების გავრცელება და სხვა. სამუშაო შეხვედრაზე განვიხილეთ ასევე თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოსათვის ორ სხვადასხვა ენაზე - სომხურსა და აზერბაიჯანულზე - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, ასევე დაავადებათა სკრინინგის პროგრამის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი საინფორმაციო ბროშურების დაბეჭდვის საკითხი, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება სომხურ და აზერბაიჯანულ თემთა წარმომადგენლებს ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებაში, ძალადობის პრევენციასა და ასევე ონკოლოგიური დაავადებებისა და უფასო გამოკვლევების შესახებ ინფორმაციის მიღებაში.

გენდერული თანასწორობის საბჭო

„არა ქალზე ძალადობას“ - გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია

„არა ქალზე ძალადობას“, „დუმილი გამოსავალი არ არის“ - ამ სლოგანებითა და სხვადასხვა ღონისძიებით ჩაერთო საბჭო გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან კამპანიაში, რომელიც მსოფლიო მასშტაბით 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით აღინიშნება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით. კამპანიის დაწყების დღეს თბილისის სატელევიზიო ანძა, სიმბოლურად, ნარინჯისფრად განათდა, რომელიც კამპანიის ოფიციალურ ფერს აღნიშნავს.

„არა ქალზე ძალადობას“ კამპანიის 16 დღის განმავლობაში, საბჭოს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ გვერდზე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მოწოდების შინაარსით 16 სხვადასხვა პროფესიის ცნობადი ადამიანის ვიდეომიმართვა განვათავსეთ.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის, მის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საინფორმაციო ბროშურები გავრცელდა დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. აღნიშნულ კამპანიაში აქტიურად იყვნენ ჩართული თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები. კამპანია “არა ქალზე ძალადობას“ საბჭოს ინიციატივით დაიგეგმა და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ბაზაზე არსებულ თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრთან თანამშრომლობით განხორციელდა.

ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, კამპანიის „არა ქალზე ძალადობას“ ფარგლებში, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმღები პირები მოვინახულეთ და ცენტრის მუშაობის სტრუქტურას გავეცანით.

თბილისის საკრებულოში საინფორმაციო შეხვედრა გავმართე თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენლებთან, რომლებიც გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქმიანობენ. შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია მივაწოდე გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ კამპანიის „არა ქალზე ძალადობას“ ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, დედაქალაქის საკრებულოში, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა გავმართეთ, სადაც თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის უფროსმა, ინდირა რობაქიძემ, ძალადობის კუთხით ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა და შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო სერვისები - კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების მომსახურებები. სტუდენტებს ინფორმაცია მივაწოდე დედაქალაქის მართვის პროცესში საკრებულოს ფუნქციებისა და მისი საქმიანობის შესახებ. შეხვედრას, რომელიც კომპანია „ენკომის“ ინიციატივით დაიგეგმა, დედაქალაქის მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საბჭოს წევრი ნინო ბურძენიძე ესწრებოდა.

მნიშვნელოვანი იყო ძალადობის წინააღმდეგ კამპანიაში თბილისის მუნიციპალური თეატრებისა და კინოთეატრ „კავეას“ ჩართულობა. ჩემი, როგორც საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით, სპექტაკლების დაწყებამდე და დამთავრების შემდგომ, თეატრებში ცხადდებოდა ინფორმაცია ძალადობის საკითხებზე არსებული სახელმწიფო სერვისებისა და საკონსულტაციო ცხელი ხაზის შესახებ. კინოთეატრ „კავეაში“ კი კინოჩვენებების დაწყებამდე ეკრანზე კამპანიის მხარდამჭერი ბანერი ჩნდებოდა. საბჭოს წევრებსა და

თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმღებ პირებთან ერთად, კამპანიის დასასრულს, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის მუნიციპალურ თეატრს ვესტუმრეთ, სადაც ძალადობის თემატიკით თეატრალიზებული წარმოდგენა „ცილინდრი“ გაიმართა.

თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენლებთან, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თემაზე, მორიგი საინფორმაციო შეხვედრა გავმართეთ. თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის უფროსმა, ინდირა რობაქიძემ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობენ, გააცნო ის სერვისები (კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების მომსახურებები), რასაც სახელმწიფო სთავაზობს მოქალაქეებს ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდეს ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით ეთნიკურ უმცირესობებში არსებული მდგომარეობის შესახებ. შეხვედრაზე სამომავლო აქტივობები დაიგეგმა.

გენდერული თანასწორობის საბჭო

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

მიმდინარე წელს ხელი მოვაწერე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია „მერსი ქორფს“ - ის წარმომადგენლობა საქართველოში - უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალ „მერსი ქორფს საქართველოს“ გაფორმდა. მემორანდუმი მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით ურთიერთთანამშრომლობის განვითარებასა და გაღრმავებას მუნიციპალურ დონეზე.

MERCY CORPS WISE

მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ.თბილისი, 18 აპრილი, 2023 წ.

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, წარმოდგენილი საბჭოს თავმჯდომარის, თინათინ ნიბლოშვილის სახით და მეორე მხრივ, საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია „მერსი ქორფს“ - ის წარმომადგენლობა საქართველოში - უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი „მერსი ქორფს საქართველო“,

MEMORANDUM OF COOPERATION

Tbilisi, April 18th, 2023

On the one hand, the Gender Equality Council of Tbilisi Municipality, represented by the Head of the Council Tinatin Nibloshvili, and on the other hand the Georgian Representation of the International Noncommercial Organization "Mercy Corps"- a branch of the Noncommercial Legal Entity "Mercy Corps Georgia", represented by Irakli Kasrashvili - the representative of the

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, წლის განმავლობაში არაერთი აქტივობა განხორციელდა. თანამშრომლობა დავიწყეთ თბილისის საკრებულოში გამართული შეხვედრით, სადაც დამსწრე საზოგადოებას ეცნობა ორგანიზაცია "მერსი ქორფს საქართველოს" საქმიანობისა და სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული პროგრამების შესახებ. მოეწყო „მერსი ქორფს საქართველოს“ პროგრამის - „ქალთა ინიციატივა უსაფრთხოებისა და თანასწორობისთვის “ (WISE) პრეზენტაცია, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით ხორციელდება აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში, „მერსი ქორფს“-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად და მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, შესაბამის რეაგირებასა და სხვა.

შეხვედრაზე მოეწყო ასევე სესია/სემინარი მოქმედი ჟურნალისტებისათვის, თემაზე: ინკლუზიური გაშუქების მნიშვნელობა გენდერული საკითხების ადვოკატირებისათვის, სადაც ყურადღება გამახვილდა მედიის როლზე ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საკითხებში. ამავე შეხვედრაზე, თბილისში მოქმედ სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენლებთან ისაუბრა ამერიკელმა ექსპერტმა, შერილ ტომასმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ქალთა მიმართ ძალადობისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებზე საქართველოსა და მსოფლიოში არსებულ გამოწვევებზე, გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში საზოგადოების ჩართულობაზე და სხვა.

თბილისის საკრებულოში მოეწყო კვლევის პრეზენტაცია - ,,ქალთა მიმართ ძალადობის და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხები სამხრეთ კავკასიაში'' და ასევე გენდერული ნიშნით ძალადობის

საკითხებზე ორგანიზებული პანელური დისკუსია. „მერსი ქორფს საქართველოს“ მიერ საზოგადოებას მიეწოდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდაჭერის, გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვის და ამ მიმართულებით საზოგადოებისა თუ მედიის ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების შესახებ.

გენდერული თანასწორობის საბჭო

ქალი მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა

მიმდინარე წელს, გენდერული თანასწორობის საბჭოსა სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის თანამშრომლობით, პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ქალი მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით არაერთი აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ ქალთა №5 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულებს საბჭოს სახელით წიგნები გადავეცით, რომლებიც მათი ინტერესების გათვალისწინებით შეირჩა. მხატვრული ლიტერატურა „წიგნის სახლი“-ს დამაარსებელმა, რამაზ ჯიქიამ უზრუნველყო.

მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროცესში მნიშვნელოვანი იყო ფსიქოლოგისა და ა(ა)იპ ქოუჩინგის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის, სასწავლო-

გამაჯანსაღებელი სისტემის ტრენერ ხათუნა მუზაშვილის ჩართულობა. აღსანიშნავია, რომ ქალთა №5 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულებთან ხათუნა მუზაშვილის გაცნობითი ხასიათის, სამოტივაციო შეხვედრა გაიმართა და მათთან სასწავლო-გამაჯანსაღებელი, ათ დღიანი კურსის ჩატარება დაიგეგმა.

მსჯავრდებულების მიერ საკუთარი ემოციების მართვის, რესურსების უკეთ გამოყენების უნარების დაუფლებისა და სხვა სამოტივაციო მიზნებით, ფსიქოლოგისა და ა(ა)იპ ქოუჩინგის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის, სასწავლო-გამაჯანსაღებელი სისტემის ტრენერ ხათუნა მუზაშვილის ხელმძღვანელობით 10 დღიანი სასწავლო-გამაჯანსაღებელი კურსის ჩატარდა. ქალთა №5 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულებს აღნიშნული კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადავეცით.

გენდერული თანასწორობის საბჭო

საინფორმაციო კამპანია “ შენი სიცოცხლე შენს ხელშია“

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა საბჭოს მიერ გასულ წელს დაწყებული საინფორმაციო კამპანია "შენი სიცოცხლე შენს ხელშია“, რომლის მიზანი ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და დაავადებათა სკრინინგის პროგრამის (უფასო სამედიცინო გამოკვლევები) შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

გახლდათ. კამპანია საბჭოს ინიციატივით, ა(ა)იპ „ევროპა დონა საქართველოსა“ და ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობით, სხვადასხვა აქტივობით მიმდინარეობს, რომელთა მთავარი გზავნილია: სკრინინგის ჩატარების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა მოტივაცია და მათ მიმართ სოლიდარობის გამოხატვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საბჭოს ინიციატივით დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურები დაავადებათა სკრინინგის პროგრამის შესახებ როგორც ქართულ, ასევე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე - ეთნიკური უმცირესობებისათვის ინფორმაციის მათსავე მშობლიურ ენაზე მიღების ხელშეწყობის მიზნით.



კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა გავმართეთ თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წევრებსა და სხვადასხვა თემის წარმომადგენლებთან, სადაც ა(ა)იპ ,,ევროპა დონა საქართველოს“ პრეზიდენტმა, ანა მაზანიშვილმა და ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის დირექტორმა, ეთერ კიღურაძემ, დამსწრე საზოგადოებას პრეზენტაციები წარუდგინეს და ინფორმაცია მიაწოდეს ქალთა ონკოლოგიური დაავადებების პრევენციის, სწორი მართვისა და დაავადებათა სკრინინგის პროგრამის (უფასო სამედიცინო გამოკვლევები) შესახებ. შეხვედრაზე საინფორმაციო ბროშურები დარიგდა.

გენდერული თანასწორობის საბჭო

კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერი“

გენდერული თანასწორობის საბჭო, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო კამპანიას - „ვარდისფერი ოქტომბერი“, ა(ა)იპ „ევროპა დონა საქართველოსა“ და ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობით, არაერთი აქტივობით შეუერთდა. კამპანია დავიწყეთ ცოცხალი ჯაჭვით, რომელიც ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტის გარშემო შევკარით.

აღსანიშნავია, რომ კამპანიის დასაწყისში თბილისის სატელევიზიო ანძა, სიმბოლურად, ვარდისფერ ფერში გავანათეთ, რომელიც კამპანიის ოფიციალურ ფერს აღნიშნავს.

დაავადებათა სკრინინგის პროგრამის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, თბილისის ლისის ტბის ტერიტორიაზე ,,ვარდისფერი მარათონი“ გაიმართა, სადაც ფეხითა და ველოსიპედით გარბენი მოეწყო. მარათონის პარალელურად, დარიგდა საინფორმაციო ბროშურები დაავადებათა სკრინინგის პროგრამის, (უფასო სამედიცინო გამოკვლევები) სკრინინგის ჩატარების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ, რის შემდგომაც, მარათონში მონაწილეთა ფოტოსესია შედგა. ღონისძიება ვარდისფერი სიმბოლოების თანხლებით მიმდინარეობდა. აღნიშნულ

აქტივობაში მონაწილეობა მივიღეთ თბილისის საკრებულოს წევრებმა, ასევე - ა(ა)იპ „ევროპა დონა საქართველოს“, ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის წარმომადგენლებმა და ბენეფიციარებმა.

ონკოლოგიური დაავადებების პრევენციისათვის რეგულარული სკრინინგის ჩატარების აუცილებლობა, დიაგნოზის შიშის დაძლევა და დაავადების მართვის პროცესში პოზიტიური განწყობის მნიშვნელობა გახლდათ შეხვედრების თემები, რომლებიც სხვადასხვა დროს მოეწყო საბჭოს წევრის, დედაქალაქის მერის მრჩევლის გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ნინო ბურძენიძის ინიციატივით ონკოპაციენტებთან, ფსიქოლოგებსა და სამედიცინო სფეროს სხვა წარმომადგენლებთან, მათ შორის: ფსიქოლოგ ზურა მხეიძესა და ნათია ფანჯიკიძესთან, მორფოლოგ ნინო მუსერიძესა და მამოლოგ, ონკო-პლასტიკურ ქირურგ ირაკლი კოხრეიძესთან. შეხვედრებს ვესწრებოდით საბჭოს წევრები, მერიის გენდერული საკოორდინაციო სამსახურის წარმომადგენლები, ასევე - ა(ა)იპ„ევროპა დონა საქართველოს“, ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის წარმომადგენლები.

სხვადასხვა დროს, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისა და თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენლების მიერ გავრცელდა სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი საინფორმაციო ბროშურები დაავადებათა სკრინინგის პროგრამის შესახებ - ონკოლოგიური დაავადებების პრევენციის მიზნით.

გენდერული თანასწორობის საბჭო

კონფერენციები, ფორუმები

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსა და ეუთო-ს ერთობლივ კონფერენციას დავესწარი საბჭოს წევრ ნინო ვარდოსანიძესთან ერთად. შეხვედრა შეეხებოდა ქართულ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს, მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ გზებსა და ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობასთან დაკავშირებით არსებულ ბარიერებს. ღონისძიებაზე გაიმართა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელოს პრეზენტაცია თემაზე: „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა პოლიტიკაში“.

საბჭოს წევრებთან - უმრავლესობის წევრ ნინო რუხაძესა და ოპოზიციის წარმომადგენელ სალომე კობალაძესთან ერთად დავესწარი „პოლიტიკურ ფორუმს გენდერული თანასწორობისთვის“, რომელიც საქართველოს პარლამენტისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ორგანიზებით, შვედეთისა და დანიის მთავრობების მხარდაჭერით გაიმართა. ფორუმის მონაწილეებმა გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური საკითხები განიხილეს, იმსჯელეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავების გზებზე ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

მონაწილეობა მივიღე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-13 ფორუმის - „მდგრადი განვითარება - მწვანე, ჭკვიანი, ბიზნეს-მეგობრული“ ფარგლებში გამართულ სესიაზე „გენდერული თანასწორობა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP საქართველო, M4EG) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით გაიმართა. დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მივაწოდე საბჭოს საქმიანობასა და მის მიზნებზე; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით საბჭოს მიერ ჩატარებულ კამპანიებზე; ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობ ღონისძიებებზე; საბჭოს თანამშრომლობაზე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა.

საბჭოს წევრ ნინო რუხაძესთან ერთად მონაწილეობა მივიღე „თანასწორობისა და ქალთა სოლიდარობის ფორუმის” მუშაობაში, რომელიც გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში მიღწეული პროგრესის შეფასებას, გამოცდილების გაზიარებასა და შემდგომი განვითარებისთვის სამომავლო გეგმებზე მსჯელობას დაეთმო. ფორუმის მიზანს წარმოადგენდა ასევე ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეფექტური დღის წესრიგის საკითხებზე მსჯელობა. სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გავამახვილე გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით თბილისის მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობაზე; საბჭოს მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე; თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერულ სტრატეგიაზე, გენდერული სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმასა და იმ პროგრამებზე, რომელსაც მუნიციპალიტეტის სთავაზობს ქალებს. ღონისძიებას მასპინძლობდა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALAG) პარტნიორ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ მოლდოვასა და უკრაინის ასოციაციები.

დავესწარი კონფერენციას „გენდერული თანასწორობის დღის წესრიგი ადგილობრივ დონეზე: ძირითადი გამოწვევები და სამოქმედო ნაბიჯები“, რომელიც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ორგანიზებით, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა. ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ ისაუბრა მუნიციპალიტეტების როლზე გენდერული თანასწორობის ეროვნული დღის წესრიგის განხორციელებაში. მსჯელობა გაიმართა ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების პოლიტიკის გამოწვევებსა და პრინციპებზე, გავეცანით ათეას 2023 – 2025 წლების პრიორიტეტებს და სხვა.

გენდერული თანასწორობის საბჭო

ტრენინგები, პრეზენტაციები, საინფორმაციო და სხვა შეხვედრები

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად მონაწილეობა მივიღე პროგრამული ბიუჯეტის გენდერული ანალიზის საკითხებზე გამართულ ორდღიან ტრენინგზე, სადაც განვიხილეთ ისეთი საკითხები, რომლებიც მუნიციპალიტეტებში ბიუჯეტირების პროცესის დახვეწასა და გაძლიერებას უჭერს მხარს. მათ შორის, აღსანიშნავია: გენდერულად მგრძნობიარე პროგრამების იდენტიფიცირების საკითხი (მისი შედეგებისა და ინდიკატორების ფორმულირება), გენდერული თანასწორობა და ბიუჯეტირება, გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება პროგრამულ ბიუჯეტში და სხვა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ დაწყებული კამპანიის "არა ქალზე ძალადობას" ფარგლებში, თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. რამდენადაც, ზემოხსენებული საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება გენდერული თანასწორობის საკითხებია, ხოლო მის შემადგენლობაში შემავალი, თბილისში მცხოვრები სხვადასხვა თემის წარმომდგენელთათვის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები განსაკუთრებული ინტერესის საგანია, ამ მიზნით მათთან მორიგი, გაფართოებული შეხვედრა შედგა, სადაც თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის უფროსმა, ინდირა რობაქიძემ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებთან იმსჯელა მათ პრობლემებზე და გააცნო ის სერვისები (კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების მომსახურებები), რასაც სახელმწიფო სთავაზობს მოქალაქეებს ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად. შეხვედრას ესწრებოდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები: უმრავლესობის წევრი ნინო რუხაძე და ოპოზიციის წარმომადგენლები - ვახტანგ სურგულაძე და ლილე ლიპარტელიანი.

თბილისის საკრებულოში სამუშაო შეხვედრა გავმართე ბიზნეს ფედერაციის „ქალები მომავლისთვის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნინო კობახიძესა და აღმასრულებელ მენეჯერ ეკა ხელაძესთან შეხვედრა შეეხებოდა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობას - ამ მხრივ ყურადღება გამახვილდა ძალადობის მსხვერპლი ქალების ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობ პერსპექტივებზე. ვისაუბრეთ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციასა და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე. სტუმრებმა ის ინიციატივები წარმოადგინეს, რომლებიც ქალთა უფლებების დაცვას, ქალების ეკონომიკურად გააქტიურებას, მათთვის განათლებისა და საჭირო უნარ-ჩვევების გადაცემის მიზნით ახალი შესაძლებლობების გაჩენას უზრუნველყოფს. შეხვედრაზე სამომავლო თანამშრომლობის ფორმატი განისაზღვრა.

დედაქალაქის სოციალურად ინკლუზიური და გენდერულად მგრძნობიარე საცხოვრებელი განაშენიანების განვითარების საკითხები, გენდერულად სენსიტიური და ინკლუზიური ურბანული განვითარების უნარების გაძლიერების შესაძლებლობები განვიხილეთ სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც აზიის განვითარების ბანკის რეგიონულ ოფიცერთან გენდერის საკითხებში, თამარ ბორცვაძესა და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის გენდერის სპეციალისტ ეკა გურგენიძესთან გავმართე. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა დედაქალაქის მზარდი განაშენიანების ტემპების პარალელურად არსებულ გამოწვევებზე, როგორებიცაა: ხარისხიანი საცხოვრებელი გარემოს, ეკოლოგიურად სუფთა სივრცეების, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის სერვისების, განათლების ხელმისაწვდომობის, ღირსეული დასაქმების თუ უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფა. შეხვედრაზე ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე შევთანხმდით.

ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები განვიხილე საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან - მმართველობისა და მონაწილეობის პროგრამის ხელმძღვანელ თამარ ვაშაკიძესა და ამავე ორგანიზაციის პროექტის ანალიტიკოს მარიკა ჯობავასთან გამართულ შეხვედრაზე. სტუმრებს საბჭოს კომპეტენციის მიმართულებები და მუშაობის სპეციფიკა გავაცანი, რომელთაც, თავის მხრივ, ქალთა ორგანიზაციის საქმიანობასა და თვითმმართველობებთან ურთიერთობაზე ისაუბრეს. მათ მზადყოფნა გამოთქვეს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობაზე, მათ შორის - გენდერული ბიუჯეტირების ნაწილში გამოცდილების გაზიარებასა და სხვა საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში შეხვედრა გავმართე USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის გენდერული თანასწორობის და სოციალური ინკლუზიის საკითხების კოორდინატორ შორენა კობაიძესთან, რომელსაც თბილისის საკრებულოს საქმიანობა და მაჟორიტარების არჩევის სისტემა გავაცანი, ინფორმაცია მივაწოდე გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციების განხორციელებისა და დაგეგმილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად თბილისის საკრებულოს ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს გამოყოფილი დაფინანსების შესახებ, რომლის ფარგლებში საბჭო სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობს. შორენა კობაიძემ ყურადღება გაამახვილა USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამაზე, რომელიც 2022 წლიდან მოქმედებს და საქართველოს 11 მუნიციპალიტეტთან აქტიურად თანამშრომლობს. მან ისაუბრა პროგრამის ძირითად მიმართულებებზე: საჯარო მმართველობის და ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესება; მოქალაქეთა საჭიროებაზე მორგებული და თანაბრად მისაწვდომი ადგილობრივი სერვისების მიწოდების ხელშეწყობა; სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და სხვა.

დავესწარი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მოქმედი პროგრამების პრეზენტაციას, რომელიც გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის, ნინო რუხაძის ინიციატივით თბილისის საკრებულოში გაიმართა. პრეზენტაციაზე სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ანი უგულავამ, სააგენტოში მოქმედი მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამები წარადგინა და დამსწრე საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა პროგრამების პრიორიტეტულ მიმართულებებზე, მათ პირობებსა და პროგრამებში გენდერული ბალანსის დაცვაზე. შეხვედრას თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წევრები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თსუ-სა და თბილისის საკრებულოს ერთობლივი კვლევითი პროექტის შუალედური ანგარიშის წარდგენას დავესწარი თბილისის საკრებულოში, რომელიც გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის, ნინო რუხაძის ინიციატივით გაიმართა. კვლევის თემა გახლდათ ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებებისა და მხარდაჭერის შესახებ - ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა - უწყვეტი განათლების კონტექსტი. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს ძალადობის მსხვერპლი ქალების შესაძლებლობების, მოთხოვნების და მოლოდინების შესწავლას, რის საფუძველზეც მოხდება მათთვის ტრენინგ მოდულის შემუშავება. სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო თავშესაფრის ბენეფიციარები. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, კვლევა და მისი შემდგომი განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ძალადობის მსხვერპლი ქალების გაძლიერებას და მათთვის საჭირო, საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობას გაზრდის.

გენდერული თანასწორობის საბჭო

კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები

თბილისის საკრებულოში მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გავმართეთ, სადაც თბილისის საკრებულოს სახელით, მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის, ქართველ მეცნიერ ქალებსა და გოგონებს მადლობის სიგელები გადაეცათ. საღამოს ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ზაზა მარუაშვილი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მხარდაჭერით, დედაქალაქის საკრებულოში, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ორგანიზაციის „კულტურული მემკვიდრეობა მომავლისათვის“ ღონისძიება გაიმართა. შოთა რუსთაველის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული, თამარ მეფის ეპოქასთან დაკავშირებული ხელნაწერების ასლები და ამ პერიოდის ხელნაწერების ფოტოგამოფენა. ასევე გაიმართა ორგანიზაციის „ კულტურული მემკვიდრეობა მომავლისათვის“ პრეზენტაცია. მნიშვნელოვანია, რომ ახლადდაფუძნებული ორგანიზაცია სიძველეთსაცავებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლებისა და ობიექტების დაცვის, მათ შორის, საავტორო უფლებების დაცვის, მოვლა-პატრონობის, პოპულარიზაციის, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი, სარესტავრაციო-საკონსერვაციო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა. ორგანიზაციას, რომლის დამფუძნებლებიც ქალები არიან, საბჭოს სახელით სრული მხარდაჭერა გამოვუცხადეთ.

თბილისის საკრებულოში, ქართველი ქალი პოეტის, ანა კალანდაძის ხსოვნისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო „ანა პოეზიის დედოფალი“ გაიმართა. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას პოეტის შესახებ მისი ოჯახის წევრმა, თინა ყანდარელმა მოუთხრო. ყველა თაობის საყვარელი ქალი პოეტის შემოქმედებასა და ქართულ პოეზიაში ანა კალანდაძის ფენომენის მნიშვნელობაზე ისაუბრეს: ლიტერატურის კრიტიკოსებმა - ლევან ბრეგაძემ და სოსო ჭუმბურიძემ; პოეტმა და ფოლკლორისტმა, ეთერ თათარაიძემ; ფილოლოგმა და ენათმეცნიერმა, ავთანდილ არაბულმა და მამა ადამ ახალაძემ. მსახიობებმა - ლეო ანთაძემ, ზვიად დოლიძემ, რუსუდან ბოლქვაძემ და ფიქრია ნიქაბაძემ - ანა კალანდაძის ლექსები და ასევე პოეტის დღიურებიდან ამონარიდები წაიკითხეს. ანა კალანდაძის უკვდავ ლექსებზე შექმნილი სიმღერები ტრიო „ახალმა ხმამ“ და ანსამბლმა „დრომ“ შეასრულა. პოეზიის საღამოს საკრებულოს წევრები, ქართული მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები, სკოლის მოსწავლეები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

თბილისის საკრებულოში, გენდერული თანასწორობის საბჭოს მხარდაჭერით, მუსიკოს დინი ვირსალაძის დისკის „Dreams come true" პრეზენტაცია და მისი ფერწერული ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ღონისძიება საკრებულოს უმრავლესობის წევრის, ნინო რუხაძის ინიციატივით გაიმართა. მან მოწვეულ სტუმრებს ინფორმაცია მიაწოდა მუსიკალური დისკის შესახებ, რომელიც დინი ვირსალაძემ ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნობილ მუსიკოსთან, მანოლო ბადრენასთან თანამშრომლობით ჩაწერა. მუსიკოსის შემოქმედებასა და მიღწევებზე ისაუბრეს ასევე მუსიკალური სფეროს წარმომადგენლებმა. ღონისძიებას საკრებულოს წევრები, მუსიკალური სფეროს წარმომადგენლები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები ესწრებოდნენ.

სხვადასხვა ღონისძიება დედაქალაქის საკრებულოში

თბილისის საკრებულოს ისტორიულ შენობაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტების მიღება გავმართე. შეხვედრის ფარგლებში სტუდენტებმა დედაქალაქის საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს, რის შემდგომაც, სტუდენტებთან ერთად საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზი, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი, ანბანის სკვერი დავათვალიერეთ და მათ საკრებულოს შენობის ისტორია გავაცანი. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, რომელიც სხვადასხვა პროექტების განხორციელებასა და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეების ჩართულობას შეეხებოდა.

მონაწილეობა მივიღე დედაქალაქის საკრებულოში ქისტური თემის წარმომადგენელ სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე, რომელიც თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით გაიმართა. შეხვედრაზე სტუდენტებს ინფორმაცია მივაწოდეთ ადგილობრივ თვითმმართველობაზე, საკრებულოს საქმიანობასა და ამ მიმართულებით მათთვის საინტერესო საკითხებზე. შეხვედრას ვესწრებოდით საკრებულოსა და ზემოაღნიშნული საბჭოს წევრები, ასევე - საქართველოში მცხოვრები ასურული, იეზიდური, ებრაული და გერმანული თემის წარმომადგენლები.

საქართველოს მხატვართა კავშირის დაარსების 105-ე წლისთავთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოში, ირინე აბესაძის წიგნის - „საქართველოს მხატვართა კავშირის შექმნის სათავეებთან“ - პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი თბილისის მერიის დაფინანსებითა და დედაქალაქის საკრებულოს მხარდაჭერით გამოიცა. თამარ მეფის სახელობის დარბაზში, წიგნის პრეზენტაციის პარალელურად, თანამედროვე ქართველი მხატვრების ფერწერული ნამუშევრების გამოფენაც მოეწყო. დედაქალაქის საკრებულოს წევრებთან ერთად, ღონისძიებას საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე, სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

სოციალური პროექტის „ჩვენი და ქვეყნის პროგრესისთვის - შეაგროვე ცოდნა“ ფარგლებში, დედაქალაქის საკრებულოს მიერ შეგროვებული 400-მდე წიგნი გადავეცით პენიტენციური დაწესებულების ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შესავსებად სსიპ „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს“, რომლის ინიციატივითაც დაიწყო ზემოხსენებული პროექტი.

თბილისის საკრებულოში მსჯავრდებულების მიერ სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილი ხელნაწერი ნივთების: აქსესუარების, ნაქარგების, ჩანთების, სამკაულების და ნახატების გამოფენა მოეწყო. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო საქართველოში მსჯავრდებულთა ხელნაკეთი ნივთების პირველი მაღაზია „რე-მარკეტის“ პროდუქცია. ღონისძიება თბილისის საკრებულოსა და სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა, რომლის მიზანი მსჯავრდებულთა ნამუშევრებისა და მაღაზია „რე-მარკეტის“ პოპულარიზაცია, ასევე მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა გახლდათ.

რუსეთის მიერ საქართველოს დროებით ოკუპირებულ რეგიონს - აფხაზეთს მიეძღვნა დედაქალაქის საკრებულოში გამართული ღონისძიება „თბილისი-სოხუმი“, სადაც მკვლევარ ანა ბაქანიძის წიგნის- „აფხაზეთი ქართულ პრესაში“ - პრეზენტაცია და დევნილი მხატვრების - დავით ბაძაღუასა და მანონ ბულისკერიას - ნახატების გამოფენა მოეწყო. წიგნი „აფხაზეთი ქართულ პრესაში, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაიბეჭდა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში (1866-1899 წწ.) არსებულ ქართულ გამოცემებში („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „მწყემსი“, „აკაკის

თვიური კრებული“) აფხაზეთთან დაკავშირებულ მასალას აერთიანებს. ღონისძიებას თბილისის საკრებულოს, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის, სხვა სახელმწიფო უწყებების, აკადემიური წრეებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

განათლებისა და კულტურის კომისია

დედაქალაქში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებული საკითხების განხილვას დაეთმო თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის საქმიანობა, რის შედეგადაც, სხვადასხვა დროს გამართულ სხდომებზე, კომისიამ მხარი დაუჭირა მუნიციპალიტეტში მიმდინარე არაერთი პროგრამის/პროექტის განხორციელებას. განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში გამართული სხდომებიდან მონაწილეობა მივიღე 12 მათგანის მუშაობასა და 21 საკითხის განხილვაში.

კომისიის სხდომაზე მხარი დავუჭირეთ მუნიციპალიტეტის ინიციატივას, ა(ა)იპ „საჯარო ხელოვნების ფონდის“ დაფუძნების თაობაზე და ამავე ფონდის მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცებას. აღნიშნული ფონდის საქმიანობის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს: თანამედროვე ხელოვნების და არტისტების პოპულარიზაციას, ეროვნული და მსოფლიო ხელოვნების ხელმისაწვდომობას; გამოფენებისა

და სხვადასხვა პროექტის განხორციელების მეშვეობით ქართველ ხელოვანთა მხარდაჭერას და მათი შემოქმედებით ზრდის წახალისებას; ღია კონკურსების მეშვეობით სახელოვნებო სფეროში სახელოვნებო და შემოქმედებითი პროცესების გააქტიურებას და სხვა. კონკურსის ჩატარების წესით განისაზღვრა კონკურსის გამოცხადების პროცედურა, საკონკურსო განაცხადების წარდგენის, განხილვისა და დაფინანსების პროცედურა და სხვა. აღნიშნული წესით გათვალისწინებული კონკურსი მოიცავს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების შექმნის დაფინანსებას, კერძოდ, დაფინანსდება: ქალაქის საჯარო სივრცეებში ინსტალაციების (კონცეპტუალური ხელოვნების ობიექტი) განთავსება, ვიზუალური/აუდიოვიზუალური ხელოვნების პროექტების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, სხვადასხვა ფერწერული გამოფენის ორგანიზება.

წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს გამართულ კომისიის სხდომებზე ვიმსჯელეთ მემორიალური დაფების განთავსების საკითხებზე და აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიის დადებითი შეფასებები გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიას. კომისიამ განიხილა აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის; მე-20 საუკუნის კომპოზიტორის, დირიჟორისა და პედაგოგის არამ ხაჩატურიანის; ქართველი ზოოლოგ-იქთიოლოგის, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვლადიმერ შარვაშიძის მემორიალური დაფების განთავსების საკითხები. წარმოდგენილი წერილების საფუძველზე, ვიმსჯელეთ ასევე: ცნობილი კომპოზიტორის, თბილისის საპატიო მოქალაქის, საქართველოს სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის გია ყანჩელის; აკადემიკოსისა და თბილისის საპატიო მოქალაქის ალბერტ თავხელიძის; საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, ლავრენტი ჩხარტიშვილისა და ღირსების ორდენის კავალერის, სპორტის ოსტატისა და მსოფლიო ხელბურთის ვარსკვლავის, ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფების განთავსების შესახებ.

მხარი დავუჭირეთ სსიპ ქალაქ თბილისის №32 საჯარო სკოლისთვის აფხაზეთის ომის გმირის, ბაბუშარას აეროპორტში დაღუპული, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსნის, ბესარიონ კივილაძისა და სამაჩაბლოს ომში დაღუპული კაპიტნის, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსნის, ალექსანდრე თანდაშვილის სახელისა და ასევე №30 საჯარო სკოლისათვის ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გურამ რჩეულიშვილის სახელის მინიჭების საკითხს, რომლებიც დადებითი რეკომენდაციებით გადაეცა თბილისის საკრებულოს, რის შემდეგაც, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის აღნიშნული საკითხები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგზავნება.



დაიხვეწა საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა ჩარიცხვის პროცედურა - კომისიის სხდომაზე განვიხილეთ თბილისის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციის წესის ცვლილება, რომლის თანახმად, რეგისტრაციის პირველი ეტაპით მოსარგებლეთა პრიორიტეტულ ჯგუფს დაემატა მუნიციპალური საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომელთა შვილები, რომლებიც, მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, უპირატესი რეგისტრაციის უფლებით ისარგებლებენ. საბავშვო ბაღებში რეგისტრაცია სამ ეტაპად განხორციელდება - პირველ ეტაპზე, პრიორიტეტული სოციალური ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვები დარეგისტრირდებიან, მეორე ეტაპზე, თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები/რეგისტრირებული ბავშვები, ხოლო მესამე ეტაპზე, გამოცხადდება საყოველთაო რეგისტრაცია.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა ავარიული ბაგა-ბაღების ჩანაცვლება, მათი გამაგრება-რეაბილიტაცია და აგრეთვე, ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

კომისიის სხდომებზე განვიხილეთ დედაქალაქის 2022-2023 წლების ბიუჯეტ(ებ)თან დაკავშირებული საკითხები. რამდენადაც, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პოლიტიკისათვის პრიორიტეტია განათლებისა და კულტურის სფეროების მხარდაჭერა, დედაქალაქის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო შესაბამისი ასიგნებები, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების/პროექტების წარმატებით განსახორციელებლად.

შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ზემოაღნიშნული სფეროების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების, პროფესიული განათლების და დასაქმების, მუზეუმების გაერთიანების, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების, სტუდენტთა დაფინანსების, ინკლუზიური ხელოვნების და განათლების, თეატრალური ხელოვნების განვითარების, სახელოვნებო განათლების, ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარებისა და სხვა. აღსანიშნავია ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა, კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები.

დედაქალაქის აღმასრულებელ ორგანოსთან კოორდინაციით, საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებს უწყვეტად მოგვეწოდებოდა ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობისა და მიმდინარე პროექტების შესახებ: დედაქალაქის მერიის ბიუჯეტ(ებ)ით დაფინანსებულ - განხორციელებულ და მიმდინარე პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე.

ხელოვნების სკოლების მხარდაჭერის პოლიტიკის შენარჩუნების კუთხით აღსანიშნავია კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები, მათ შორის ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის რევაზ ლაღიძის სახელობის №4 ხელოვნების სკოლისა და ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის მე-19 ხელოვნების სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სამუზეუმო რეფორმისა და მოდერნიზების გზაზე წარმატებით განაგრძობდა საქმიანობას თბილისის მუზეუმების გაერთიანება, როგორც ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციის მხრივ, ასევე სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის, გამოფენების გამართვისა და სხვა მიმართულებებით. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ილია ჭავჭავაძისა და მერაბ კოსტავას სახელობის მუზეუმების სარეაბილიტაციო სამუშაოები და მათი ინვენტარით აღჭურვა. თოჯინური ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წლის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო დაფინანსება, თბილისის სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმის უნიკალური ექსპონატების საკრებულოს ისტორიულ შენობაში განსათავსებლად - გამოყოფილი ფართის სამუზეუმო სივრცედ მოსაწყობად.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფილიალების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და მათი ინვენტარით აღჭურვა. მათ შორის, აკაკი ბაქრაძის სახელობის №18 და ლადო ასათიანის სახელობის №6 ბიბლიოთეკების, ასევე ზღვისუბნის მედიათეკის თანამედროვე სტანდარტებით ინვენტარიზაცია და მათი წიგნადი ფონდით შევსება.

გრძელდება სწავლის საფასურის დაფინანსება უმაღლესი განათლების მიმღები - სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), წარჩინებული მაგისტრანტებისათვის, ხოლო არაფორმალური განათლების სფეროში - ხელოვნების სხვადასხვა სკოლებში სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე და არამოთხოვნადი სპეციალობების მოსწავლეებისთვის.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისთვის გრძელდება დედაქალაქის მერიის ინიციატივით 2018 წლიდან ამოქმედებული პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა "ისწავლე და დასაქმდი", რომლის ფარგლებში, პროფესიულ კოლეჯებში, იშვიათი და მოთხოვნადი პროფესიები ფინანსდება - თბილისში რეგისტრირებული, სამსახურის მაძიებელი მოქალაქეების პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და დასაქმების მიზნით.

განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სხდომების, სამუშაო და ოფიციალური შეხვედრების პარალელურად ჩართული ვიყავი კომისიის მიერ გამართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და აქტივობებში.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდებასა და კომისიის უფლებამოსილებაში შემავალი სხვა საკითხების განხილვას დაეთმო, რომელთა ინიცირებას, კანონმდებლობის შესაბამისად, ახდენდა როგორც კომისია, ასევე დაინტერესებული მხარე/მოქალაქე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საკითხების საჯარო განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების

პროცესში საზოგადოების ჩართულობას. საანგარიშო პერიოდში ჩართული ვიყავი კომისიის მიერ გამართული 11 სხდომის მუშაობაში, შევისწავლე 168 საკითხი.

მიმდინარე წლიდან, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობის შედეგად, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული 76 გეოგრაფიული ობიექტი ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა - კულტურის, მეცნიერების, სპორტისა და სხვა სფეროს წარმომადგენელთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა და ეროვნულ გმირთა, ასევე სხვა დამსახურებული პიროვნებების სახელებს ატარებენ. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ომში დაღუპულ მებრძოლთა სახელები ეწოდა თბილისში არსებულ არაერთ გეოგრაფიულ ობიექტს, რომელთა შორისაა გიორგი და ზვიად უგრეხელიძეების სახელობის ქუჩა და შესახვევი, თორნიკე ქურდაძისა და კობა აბზიანიძის სახელობის ქუჩა; ასევე - საქართველოს ეროვნული გმირის, ავთანდილ იოსელიანის სახელობის ქუჩა და სხვა.

თბილისში მდებარე გეოგრაფიულ ობიექტებს მიენიჭა მწერალ გურამ დოჩანაშვილის, რეჟისორისა და მხატვრის, რევაზ გაბრიაძის, ოპერის მომღერალ ზურაბ სოტკილავას, ლოტბარ თემურ ქევხიშვილის, ხელბურთელ ჯემალ ცერცვაძის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვაჟა გვანცელაძის, არქიტექტორ ალექსანდრე შიმკევიჩის, ილუზიონისტს ზურაბ ვადაჭკორიასა და სხვათა სახელები. თბილისში გაჩნდა ასევე რეჟისორების - ზაზა ურუშაძისა და გურამ მელივას, მსახიობების - გოჩა აბაშიძისა და გურამ საღარაძის, მომღერლების - ზურაბ ბაკურაძისა და ლევან კბილაშვილის, აკადემიკოსების - ნანა ხაზარაძისა, გივი ცინცაძისა და სხვათა სახელები.

მუნიციპალიტეტს შეემატა ასევე არაერთი სახელდებული სკვერი, მათ შორის: მუსიკოსისა და ფოლკლორისტის, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის; მწერლისა და დრამატურგის, გაბრიელ სუნდუკიანის; მსახიობ გურამ ფირცხალავას; რეჟისორ გიზო ჟორდანიას; 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული შმაგი ხაიკაშვილის; ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის, გია მოსეშვილის სახელობის და სხვა.

კომისიის გენდერული პოლიტიკის ფარგლებში, სახელდების პროცესში გათვალისწინებული იყო ასევე ქართველ ქალთა გვარ-სახელები. საანგარიშო პერიოდში, კომისიის საქმიანობის შედეგად, თბილისის ქუჩებს შეემატა: კომპოზიტორ თამარ ვახვახიშვილის; მევიოლინე მარინე იაშვილის; საზოგადო მოღვაწე მედია ღამბაშიძის; ინჟინერ ბარბარე ბაირამაშვილის; მეზღვაურ იულია ფაილოძის; კალიგრაფ-გადამწერის, მანანა ზედგინიძის; მფრინავების - ნინა ხუბულავას და რუსუდან ჟორდანიას; მშვილდოსან ქეთევან

ლოსაბერიძის; მსახიობების - თამარ ჭავჭავაძისა და ცეცილია წუწუნავას; დიპლომატ რუსუდან მიქელაძის; ექიმ ბარბარე ყიფიანის; პოეტის, მარიამ აბრამიშვილის; სახელმწიფო მოღვაწე კრავაი ჯაყელის და სხვათა სახელები.

კომისიის საქმიანობის შედეგად, სანაგრიშო პერიოდში გაიხსნა: არქიტექტორ გიგა ბათიაშვილის სახელობის ქუჩა,

ასევე - ფოლკლორისტისა და მუსიკოსის, ჯემალ ჭკუასელის სახელობის ქუჩა და სკვერი; მუსიკოსის, ფოლკლორისტისა და პედაგოგის კუკური ჭოხონელიძის სახელობის ქუჩა და სხვა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია, უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, აქტიურ კოორდინაციაში იყო შესაბამის სახელმწიფო სამსახურებთან, დედაქალაქის სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებსა და პარტნიორ ქვეყნებთან. მიმდინარე წელს, კომისიის მიერ სახელმწიფო დროშის დღესა და სხვა ისტორიულ-სახელმწიფოებრივ თარიღთან დაკავშირებით, არაერთი აქტივობა გაიმართა.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

საანგარიშო პერიოდში ჩართული ვიყავი ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სამუშაო პროცესში. წლის განმავლობაში ჩატარებული სხდომებიდან დავესწარი 15 სხდომას და შევისწავლე 21 საკითხი. მათ შორის იყო დედაქალაქში მიმდინარე პროექტები და შემდეგი საკითხები: აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია, ისტორიული ძეგლების სტატუსის მქონე ავარიული სახლების რეაბილიტაციის

პროგრამა; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება, თბილისის მუნიციპალიტეტისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება; დედაქალაქის 2022-2023 წლების ბიუჯეტ(ებ)თან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

ზემოაღწერილი ანგარიში, ჩემ მიერ 2022-2023 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ, საჯაროდ წარვადგინე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

პატივისცემით,